№1149 2015 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

„სახელმწიფო ორკესტრებისა და მუსიკალური ცენტრების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №98 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ორკესტრებისა და მუსიკალური ცენტრების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №98 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ორკესტრების, მუსიკალური ცენტრების, სახელოვნებო სასწავლებლებისა და ანსამბლების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“;

ბ) განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში

შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა - სახელმწიფო ორკესტრებმა, მუსიკალურმა ცენტრებმა, სახელოვნებო სასწავლებლებმა და ანსამბლებმა შემოქმედებითი და სასწავლო -საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**